ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ქონების მართვის, ეკონომიკურ
და სოფლის მეურნეობის კომისია

ოქმი:**ო47. 4723247001**

თარიღი:**04/09/2023**

ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის

საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N8

დ.ჩოხატაური 24 აგვისტო 2023 წელი.

<u>თავმჯდომარეობდა:</u> აკაკი ყაჭეიშვილი.

ესწრებოდნენ: ლაშა თოლორდავა, ვლადიმერ სიხარულიძე, კობა კალანდაძე, თემურ ხუხუნაიშვილი, მანანა მინდაძე, ზვიად წეროძე, დავით ტყეშელიაძე, მამია ბარამიძე.

არ ესწრებოდნენ: მიხეილ თავართქილაძე, ვალერიან ჩხიკვაძე, ხათუნა ბერიშვილი.

მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ვალერი ყაჭეიშვილი - ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსი;

მერაბ ბერძენიშვილი -არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი;

სხდომის თავმჯდომორემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციის და მშენებლობის საქმეში გაწეულ მუშაობაზე, მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაციის ცნობად მიღების შესახებ.

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში მდებარე 1200.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი

N28.24.22.214) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

4. ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 290.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ნ. დუმბაძის სახელობის პარკი) (ს/კ - 28.01.21.718) ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების კატეგორიის სტატუსის დაკარგვისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების 2023 წლის დამატებითი ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვა: კობა კალანდაძემ, ზვიად წეროძემ, ისინი დაეთანხმნენ დღის წესრიგის წარმოდგენილ პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 9 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციის და მშენებლობის საქმეში გაწეულ მუშაობაზე, მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაციის ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი:მერაბ ბერძენიშვილი

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

მომხსენებელი:მერაბ ბერძენიშვილი

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში მდებარე 1200.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N28.24.22.214) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხსენებელი:ვალერი ყაჭეიშვილი

4. ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 290.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ნ. დუმბაძის სახელობის პარკი) (ს/კ - 28.01.21.718) ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების კატეგორიის სტატუსის დაკარგვისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების 2023 წლის დამატებითი ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი:ვალერი ყაჭეიშვილი

I საკითხი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციის და მშენებლობის საქმეში გაწეულ მუშაობაზე, მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაციის ცნობად მიღების შესახებ.

მოისმინეს :

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციის და მშენებლობის საქმეში გაწეულ მუშაობაზე, მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაციის ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკაშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _9

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 9 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ ცნობად მიიღო ინფორმაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდა გზების შეკეთების, რეკონსტრუქციის და მშენებლობის საქმეში გაწეულ მუშაობის შესახებ.

II საკითხი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

აზრი გამოთქვეს: თემურ ხუხუნაიშვილმა აღნიშნა, რომ ვან-ზომლეთში მესამე წელია ინფრასტრუქტურული პროექტები არ განხორციელებულა და მოუწოდა მერიის შესაბამის სამსახურს, გაითვალისწინოს აღნიშნული.

მამია ბარამიძე დაინტერესდა, სურების მიმართულებით რამდენიმე წლის წინ

რეაბილიტირებული გზა, რომელიც ფაქტობრივად წყალმა წაიღო, იგეგმება თუ არა სამუშაოების ჩატარება.

მერაბ ბერძნიშვილი: ამ ეტაპზე რაიმე სახის სამუშაოების ჩატრება არ იგეგმება.

კობა კალანდაძემ აღნიშნა, განსახორციელებელი პროექტების ჩამონათვალში წარმოდგენილია ბასილეთი-მთისპირის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, რამდენადაა მართებული აღნიშნული მონაკვეთის აღდგენა, მაშინ, როცა ხიდისთავში ბავშვებს სკოლაში მისვლა უჭირთ, დაზიანებული გზის გამო.

ყველა გზა მნიშვნელოვანია, რომლით სარგებლობაც უწევს მოსახლეობას, ამიტომაც არ არსებობს ნაკლებ მნიშვნელოვანი გზა, აღნიშნა მამია ბარამიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _9

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 9 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

III საკითხი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში მდებარე 1200.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N28.24.22.214) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში მდებარე 1200.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N28.24.22.214) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკაშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _9

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 9 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროში მდებარე 1200.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N28.24.22.214) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გააკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

Iv საკითხი

ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 290.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ნ. დუმბაძის სახელობის პარკი) (ს/კ - 28.01.21.718) ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების კატეგორიის სტატუსის დაკარგვისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების 2023 წლის დამატებითი ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

4. ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 290.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ნ. დუმბაძის სახელობის პარკი) (ს/კ - 28.01.21.718) ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების კატეგორიის სტატუსის დაკარგვისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების 2023 წლის დამატებითი ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

აზრი გამოთქვეს: მანანა მინდაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საპრივატიზებო ნუსხაში, ერთ-ერთი არის ნოდარ დუმბაძის სკვერთან არსებული მიწის ნაკვეთი, საკმაოდ მნიშვნელოვანი ლოკაციაა, ამდენად საჭიროა მეტი კენკრეტიკა, არის თუ არა დაინტერესებული პირი და სამომავლოდ რა დატვირთვა ექნება ამ ადგილს.

მამია ბარამიძე: სკვერსა და მის მიმდებარედ შესაძლებელია გაიცეს მიწის ნაკვეთი, თუმცა დასაზუსტებელია რა დატვირთვა ექნება მას. ამდენად, საჭიროა მეტი კონკრეტიკა.

დავით ტყეშელიაძე: რადგან წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი არის განუსხვიდებელი ქონება, არ მიაჩნია მიზანშეწონილად მისი გასხვისება და არ უჭერს მხარს საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

ვლადიმერ სიხარულიძე: მიზანშეწონილად მიიჩნია, დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 290.00 კვ.მ.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ნ. დუმბაძის სახელობის პარკი) (ს/კ - 28.01.21.718) ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების კატეგორიის სტატუსის დაკარგვისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღება და ზემოთ აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით საკითხის ცალკე წარმოდგენა. ამდენად, ის არ უჭერს მხარს საკითხის ამ ფორმით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

აკაკი ყაჭეიშვილი: ყველა ზემოთ აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, შესაბამისმა სამსახურმა ბიუროს სხდომაზე უზრუნველყოს დეტალური ინფორმაციის წარმოდგენა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული წინადადება დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _9

წინააღმდეგი _ 1 (დავით ტყეშელიაძე - ეწინააღმდეგება ზოგადად საკითხის განხილვას)

თავი შეიკავა -0

(კენჭისყრას ესწრებოდა 9 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 290.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ნ. დუმბაძის სახელობის პარკი) (ს/კ - 28.01.21.718) ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების კატეგორიის სტატუსის დაკარგვისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების 2023 წლის დამატებითი ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, ყველა ზემოთ აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით და საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, შესაბამისმა სამსახურმა ბიუროს სხდომაზე უზრუნველყოს დეტალური ინფორმაციის წარმოდგენა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

აკაკი ყაჭეიშვილი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ქონების მართვის, ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის საკითხთა კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი